

დამტკიცებულია
შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის
აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №02,
07.02.2020წ.

რექტორი:


შარინა თერცხალავა



შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის

სტუდენტთა სერვის ცენტრის დებულება

1. ზოგადი დებულებანი

1.1. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის სტუდენტთა სერვის ცენტრი (შემდგომში ცენტრი) წარმოადგენს დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

1.2. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებს უნივერსიტეტის დებულების, აკადემიური საბჭოს დადგენილებების, რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

2. ცენტრის მიზანი და ფუნქციები

2.1. ცენტრის მიზანია:

განახორციელოს სტუდენტთა ინფორმირება და გაუწიოს კონსულტაცია აკადემიურ, ადმინისტრაციულ და საყოფაცხოვრებო საკითხებზე.

2.2. ცენტრის ფუნქციებია:

2.2.1. მოთხოვნის შესაბამისად სტუდენტებს მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია: სასწავლო პროცესის, სამეცნიერო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების, სხვადასხვა პროექტებისა და ღონისძიებების, აგრეთვე დამატებითი აქტივობების (სპორტული, ხელოვნების), არსებული კონსულტაციებისა და დახმარებების შესახებ;

2.2.2. განუმარტოს სტუდენტებს ხელშეკრულებაში ჩადებული უფლებები და მოვალეობები, სტუდენტის ეთიკის კოდექსის პრინციპები და მოთხოვნები, სანიტარული, უსაფრთხოების დაცვის და ქცევის სხვა ზოგადი ნორმები.

3. ცენტრის პერსონალი

3.1. ცენტრის პერსონალს შეადგენს სპეციალისტები.

3.2. ცენტრის პერსონალის თანამდებობაზე შერჩევა ხდება უნივერსიტეტში მოქმედი ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის წესის გათვალისწინებით/დაცვით.

3.3. ცენტრის პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3.4. ცენტრის სპეციალისტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

3.4.1. პასუხისმგებელია ცენტრის წინაშე დასმული მიზნისა და ფუნქციების შესრულებაზე;

3.4.2. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე ურთიერთობს ფაკულტეტების დეკანებთან, სპეციალისტებთან.

3.4.3. ანგარიშვალდებულია სასწავლო დარგში რექტორის მოადგილის წინაშე.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. ცენტრის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო;

4.2. ცენტრის დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.